აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2013 წლის ანგარიში

MINISTRY OF FINANCE AND
ECONOMY OF AJARA

WWW.MOFEA.GE

ბიუჯეტი

- **პროგრამული ბიუჯეტი** - გულისხმობს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას, რომელიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება გრძელვადიანი პერიოდის ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად. ეს არის არა ასიგნებების ათვისებაზე მიმართული, არამედ შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტი.

აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულება



2013 წელს საშემოსავლო გადასახადი 2012 წელთან შედარებით 9 მილიონი ლარით გაიზარდა

+7,2 %



2013 წელს სხვა შემოსავლები 2012 წელთან შედარებით 3,7 მილიონი ლარით გაიზარდა

+52,8 %

2011 წელთან შედარებით აუქციონებიდან შემოსული თანხა 150 % არის გაზრდილი

ინერტული მასალების აუქციონის შედეგად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში

2013 წელს ჯამში შესული თანხა შეადგენს 1მილ. 400 000 ლარს

ქვიშა-ხრეშის აუქციონებიდან შემოსული თანხები



	კბ.მ ქვიშა-ხრეში	ლარი
2010	663000	204441
2011	909400	441036
2013	216300	1050000

მხოლოდ ქვიშა-ხრეშის აუქციონებიდან შემოსული თანხები:

2010

2010 წელს აუქციონზე გამოტანილი იქნა 663 000 კუბური მეტრი მოცულობის ქვიშა-ხრეში - აუქციონის შედეგად შემოსულმა თანხამ შეადგინა 204 441 ლარი.

2011

2011 წელს აუქციონზე გამოტანილი იქნა 909 400 კუბური მეტრი მოცულობის ქვიშა-ხრეში,აუქციონის შედეგად შემოსულმა თანხამ შეადგინა 441 036 ლარი.

2013

2013 წელს აუქციონზე გამოტანილი იქნა 216 300 კუბური მეტრი მოცულობის ქვიშა-ხრეში, აუქციონის შედეგად შემოსულმა თანხამ შეადგინა 1 მილ 50 000 ლარი.

2013 წელს წინა წელთან შედარებით საიჯარო შემოსავლები 250 % გაიზარდა

- იჯარის ფორმით დროებით სარგებლობაში გადაცემული ობიექტებიდან **2012 წელს** საიჯარო ხელშეკრულება 1 ობიექტზე იქნა გაფორმებული. **შემოსული** საიჯარო თანხა შეადგენს - **160 636 ლარს**.

- **2013 წელს** 22 საიჯარო ხელშეკრულება იქნა გაფორმებული. მათგან **შემოსასვლელი** საიჯარო თანხა **644 700** ლარს შედგენს, ხოლო შემოსული თანხა 401 660 ლარია.



საიჯარო შემოსავლები 401 660 ლარით 250% ით გაიზარდა

- **ეროვნული ბანკის** პირველ სართულზე არსებული ფართი უპრეცედენტოდ მაღალ ფასად გაიცა. წლიური საიჯარო თანხა - 90 000 ლარი.

- **სამხატვრო საწარმოზე** სარგებლობაში გადაცემული ქონების წლიური სარგებლობის საფასური 6000 ლარით განისაზღვრა .

- **ბულვარის** ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთი, იჯარის ფორმით, აუქციონის წესით გაიცა. წლიური საიჯარო თანხა - 72 660 ლარი.

- **ქობულეთის ყოფილი საავადმყოფოს ტერიტორია** - წლიური საიჯარო თანხა - 50 000 ლარი.



წლიური საიჯარო ქირა 240 000 ლარით განისაზღვრა

შპს “ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა”

- **შპს “ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა”** - აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს თანხმობით 2013 წლის 17 ივნისს შპს “ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის” მიერ ჩატარებული ელექტრონული აუქციონის შედეგად ქარხნის საკუთრებაში არსებული 4 ერთეული (1 ერთეულის მოცულობა 925 მ. კუბი) რეზერვუარის იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემის წლიური საფასური შეადგენს 713 000 ლარს. იჯარის მოქმედების ვადა 2 წელია, შესაბამისად ქარხნის შემოსავალი აღნიშნული იჯარიდან ჯამში 1 426 000 ლარს შეადგენს.

- შპს “ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის” ტერიტორიაზე 141 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გაიცა,წლიური საიჯარო თანხა 3500 ლარი.

- ნავთობგადამამუშავებელი ქარხანის 100% წილის მფლობელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაა, ხოლო პარტნიორის უფლებამოსილებას აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ახორციელებს.

ინვესტიციები

2013 წლის 9 თვის მონაცემებით პირდაპირი კერძო ინვესტიციების მოცულობა ⬆ 25.0% - ით გაიზარდა



2013 წლის 9 თვე	2012 წლის 9 თვე
$122,5 მლნ	$98,0 მლნ



2013 წლის სამ კვარტალს ცალ-ცალკე, დროის იგივე პერიოდის წინა წლის მონაცემებს თუ შევადარებთ, **შესამჩნევია ინვესტიციების მოცულობის მზარდი ტენდენცია**.

ინვესტორთა მომართვის შემდეგ, მოხდა ხელშეკრულებების შესწავლა და 35 ინვესტორს გაუგრძელდა ხელშკრულებით ნაკსირი ვალდებულების შესრულების ვადა და პირობები. ყოველივე ეს კი ინვესტიციების საერთო მაჩვენებელზე დადებითად აისახა.

ინვესტიციები - ინვესტიციების დარგობრივი განაწილება 2013 წლის 9 თვე



ციტრუსის შემფუთავი საწარმოები აჭარაში

- აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ ციტრუსის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, ციტრუსის შემფუთავი საწარმოების მოსაწყობად, კონკურსი გამოაცხადა. შედეგად დამატებით **15 ციტრუსის შემფუთავი საწარმო გაიხსნა აჭარაში.**
- ჯამში აჭარის რეგიონმა ციტრუსის 36 შემფუთავი საწარმო მიიღო.
- 2013 წელს რეგიონში **ციტრუსის რეალიზაცია უპრეცედენტოდ ეფექტური გახდა.**

სოციალური სახლები

"სოციალური სახლის" სახლების მშენებლობის პროექტზე სულ 13 მილიონი ლარია გათვალისწინებული, რაც 2014-2017 წლებზე გადანაწილდა

ხულოს მუნიციპალიტეტში, სოფელ ვაშლოვანში

სოციალურად დაუცველი და ეკომიგრანტი ოჯახებისთვის 72 ბინიანი საცხოვრებელი სახლი აშენდება. 18 თვიანი პროექტი 2015 წელს დასრულდება.
პროგრამის ბიუჯეტი - 4 382,1 ათასი ლარი.

72 ბინიანი საცხოვრებელი სახლი

ქალაქ ბათუმში თამარის დასახლებაში

ორი ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლი აშენდა,სადაც 116 ბინაა განთავსებული. პროგრამის
პროგრამის ბიუჯეტი 5 131,8 ათასი ლარი.

მიმდინარეობს 73 ოჯახზე ბინების გადაცემის პროცედურები

დაბა შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტებში

დაბა შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტებში მოეწყო 108 საცხოვრებელი ბინა საიდანაც 89 ეკომიგრანტ ოჯახს აჭარის მთავრობისგან საცხოვრებელი ბინები, სიმბოლურ ფასად გადაეცა.
პროგრამის ბიუჯეტი 2 197,9 ათასი ლარი.

89 ეკომიგრანტ ოჯახს ბინები გადაეცა

სოციალური სახლი

მეორე ეტაპზე საცხოვრებელი ბინა ჯამში 146 ეკომიგრანტ ოჯახს გადაეცემა

- სოციალური სახლების მშენებლობისა და შენობების რეკონსტრუქციის ფარგლებში, პირველ ეტაპზე, საცხოვრებელი ბინა ჯამში **162** ეკომიგრანტ ოჯახს გადაეცა.
- პროგრამის მეორე ეტაპზე საცხოვრებელ ბინას **146** ოჯახი მიიღებს.
- პროგრამის მესამე ეტაპზე კი საცხოვრებელი ბინა დამატებით **150**-ზე მეტ ოჯახს ექნება.

ზედდების კომისია

ზედდების კომისიამ 82 ფიზიკური და
იურიდიული პირის განცხადება განიხილა, მათგან კი

58 დააკმაყოფილა

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში არსებული ზედდების კომისია 2013 წელს, წინა წლებთან შედარებით, უფრო სამართლიანი და ეფექტური გახდა

კომისია სამინისტროში მიწის ზედდებასთან (გადაფარვა) დაკავშირებით შემოსულ მოქალაქეთა განცხადებებს/წერილებს განიხილავს.
აღნიშნულმა კომისიამ აქტიურად მუშაობა მიმდინარე წლის აგვისტოში დაიწყო. კომისიამ რეგიონის მცხოვრებლებს წლების განმავლობაში არსებული მიწის საკუთრების პრობლემა გადაუჭრა.

აჭარის მყარი ნარჩენების მართვის პროექტი

- პროექტი ნაგავსაყრელის ადგილის მონაცვლეობის გამო შეჩერებული იყო, თუმცა უკანასკნელი 1 წლის მანძილზე, პროექტში ჩართულ ყველა მხარესთან აქტიური კომუნიკაციის შედეგად, პროექტი განახლდა.

„აჭარის მყარი ნარჩენების მართვის პროექტი“ გულისხმობს :

- ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობას.
- ბათუმსა და ქობულეთში სტანდარტებთან შეუსაბამო არსებული ნაგავსაყრელების დახურვას და კონსერვაციას.
- ნარჩენების მართვის ახალი კომპანიის შექმნას და მხარდაჭერას.

პროექტის ბიუჯეტია 8,4 მლნ ევრო

- 3 მლნ ევრო EBRD-ის შეღავათიანი სესხი
- 5,4 მლნ ევრო - SIDA-ს გრანტი

პროექტი 2015 წლის ბოლოს დასრულდება

ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა აჭარაში

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ერთობლივი მუშაობის შედეგად, მოსახლეობისთვის მიწების კომპენსაციის პროცედურები დაიწყო.

ონტოფოს დასახლებაში იმ 40 ოჯახს, რომელთა მიწებიც ჰესების მშენებლობის არეალში მოექცა, კომპანიამ 1 მილიონი დოლარის კომპენსაცია გადასცა.

სამთო-სათხილამურო კურორტის ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოების დასაფინანსებლად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით 8 მილიონი ლარი გამოიყო

სულ 2013 წელში კურორტის ინფრასტრუქტრურის მოწყობისათვის შესრულებული იქნა 2,059 ათასი ლარის და 4,372 ათასი ევროს ღირებულების სამუშაო.მათ შორის 2,059 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები დაფინანსდა საზოგადოების კაპიტალში დამფუძნებელი-პარტნიორის - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ შემოტანილი თანხით და 4,372 ათასი ევროს ღირებულების სამუშაოები უნიკრედიტ ბანკ "ავსტრიასგან" საქართველოს მთავრობის მიერ აღებული შეღავათიანი სესხის თანხით.

კურორტი პირველ დამსვენებელს 2014-2015 წლის ზამთრის სეზონზე მიიღებს

დასრულებულია:

- გოდერძის უღელტეხილზე, ყოფილი მეტეოსადგურის შენობაში, სასტუმროს მშენებლობა;
- კურორტის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა;
- კურორტის საბაგირო გზის ორივე მონაკვეთი;
- გონდოლების პარტკირების შენობის მშენებლობა;

კურორტ „გოედრძს" რეგიონში ყველაზე გრძელი 4 კილომეტრიანი სათხილამურო ტრასა ექნება

- 2014 წელს გაკეთდება 6 კოტეჯი
- მოხდება სპეც ტექნიკის შეძენა
- დასრულდება კურორტის ტერიტორიის კეთილმოწყობა
- სათხილამურო ტრასების უსაფრთხოების სისტემები
- კურორტის ელექტრომომარაგების ალტერნატიული ხაზი
- სათხილამურო ტრაების და საბაგირო გზების ზვავსაწინააღმდეგო სისტემები

კურორტი “გოდერძი”

2014 წლიდან ყველა იურიდიული თუ ფიზიკური პირის კანონიერი ინტერესების გათვალისწინებითა და დაცვით, გადაიჭრება კურორტის განაშენიანების პირველი ეტაპისათვის აუცილებელ ტერიტორიაში მოქცეული მიწის საკუთრების პრობლემები.

კურორტი “გოდერძი”

მადლობა
ყურადღებისთვის